*დანართი №1*

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური**
მასობრივი კომუნიკაციის სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

**უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება**

**შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი (ჯიუ)**

შეფასების თარიღ(ებ)ი
12.01.2026

დასკვნის წარდგენის თარიღი

**24.03.2026**

თბილისი

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტი ჯიუ |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 204555524 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| **თავმჯდომარე** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თინა ცომაია, ა(ა)იპ - ჯიპა - საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი, საქართველო |
| **წევრი** (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ირმა ქურდაძე, სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად) | მასობრივი კომუნიკაცია |
| საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად) | Mass Communications |
| უმაღლესი განათლების საფეხური | მაგისტრატურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2] | მასობრივი კომუნიკაციის მაგისტრი/MA of Mass Communications |
| დეტალური სფეროს დასახელება და კოდი | 0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა |
| ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება [3] | |
| სწავლების ენა | ქართული |
| ECTS კრედიტების რაოდენობა | 120 კრედიტი |
| პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არააკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი) | აკრედიტებული<br><br>31.10.2025 №1430437 |
| პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები) | |

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

3 მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**[4]
- პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის სტრუქტურა მოიცავს ყველა მნიშვნელოვან ასპექტს და არის ინფორმაციული. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება პროგრამის 2024 წლის დარგობრივ მახასიათებელსა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს VII დონის მოთხოვნებს და და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა არის ორი წელიწადი და მოიცავს 120 ECTS, რომელშიც 78 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის და 42 კრედიტი არჩევითი კომპონენტისთვის. პროგრამა ითვალისწინებს კვლევით კომპონენტს -სამაგისტრო ნაშრომის დაცვას. პროგრამა აგებულია რაციონალურად - მისი სტრუქტურა თანმიმდევრულია და კურსები დალაგებულია ლოგიკური პრინციპით. სასწავლო კურსების შინაარსი თანდათანობით რთულდება და ვითარდება, ხოლო შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.
- სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და, გამომდინარე მისი ძირითადი პრინციპებიდან და დებულებებიდან, მოამზადებს მასობრივი კომუნიკაციების სფეროში კონკურენტუნარიან სპეციალისტს, რომელსაც ექნება სტრატეგიული კომუნიკაციის, მედია მკვლევარს და დარგობრივ ჟურნალისტის კვალიფიკაციები. პროგრამის ერთერთი ფოკუსი, მოამზადოს დარგობრივი ჟურნალისტი არის ორიგინალური.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

ექსპერტთა ჯგუფის სამუშაოს მიზანია წარმოდგენილი პროგრამისა და თანდართული დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ინსტიტუციის მიერ საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შეფასება და საგანმანათლებლო პროგრამის ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან შესაბამისობის დადგენა, ასევე, საგანმანათლებლო პროგრამაში განხორციელებული ცვლილებებისა და და მითითებული მტკიცებულებების შესწავლა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

[4] პროგრამასთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.

- ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაწეული მუშაობის მიერ მოყვანილი მიგნებები/დასკვნები ეყრდნობა წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასებასა და ანალიზს.

- სტანდარტი 1- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  1.1,1.2,1.3,1.4,1.5- შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

- სტანდარტი 2 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  2.1 ნაწილობრივ შესაბამისობაშია
  2.2,2.3,2,4 შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

- სტანდარტი 4 - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.
  4.1. 4.2, 4.3,4.4,4.5, შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

**საბჭოს მიერ გაცემული რეკომენდაციები და რჩევები**

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად. ჩვენი რეკომენდაციით, პროგრამა უფრო მეტად შეესაბამება შემდეგ კვალიფიკაციას- მეცნიერებათა მაგისტრი მასკომუნიკაციაში; **არ არის გაზიარებული**
- რეკომენდირებულია პროგრამის მიზნებში, შედეგებში და შესაბამისად სილაბუსებში მკაფიოდ აისახოს დასავლური ღირებულებებისა და დემოკრატიისადმი ერთგულების საკითხები, კულტურული, პოლიტიკური და სოციალური განსხვავებების პატივისცემა.(1.1) **გაზიარებულია და ასახულია პროგრამაში**
- რეკომენდებულია მკაფიოდ აღიწეროს - რა დარგობრივ უპირატესობას ანიჭებს ამ პროგრამის დამთავრება სტუდენტს, რა გამორჩეულ თვისებებს შეიძენს ის და რომელი საგნები უზრუნველყოფს ამ უნარების მიცემას სტუდენტისთვის, როგორ გამყარდება ეს თვისებები პრაქტიკითა და თეორიით. (1.2) **გაზიარებულია და ასახულია პროგრამაში**
- რეკომენდებულია დაკონკრეტდეს დარგობრივ ჟურნალისტიკასთან დაკავშირებული საგნები (პოლიტიკა, ეკონომიკა, კულტურა) (1.2)
- რეკომენდებულია, პროგრამა გაძლიერდეს დარგობრივი ჟურნალისტიკის სასწავლო კურსებით. (1.5) **გაზიარებულია და ასახულია**
- რეკომენდებულია, პრაქტიკის ობიექტებთან დადებულ ხელშეკრულებებში დაკონკრეტდეს სტუდენტთა რაოდენობები. (2.2) **გაზიარებულია და ასახულია**
- რეკომენდირებულია დაემატოს „პროფესიული ეთიკის საფუძვლების საგანი, სადაც შესაძლოა ინტეგრირება მოხდეს ასევე ხელოვნური ინტელექტის მოხმარების ეთიკური საკითხებიც. (2.2) **ნაწილობრივ არის გაზიარებული**

- რეკომენდირებულია გაძლიერდეს პროგრამის პრაქტიკული კომპონენტი დარგობრივი მიმართულებით, განსაკუთრებით ისეთ სასწავლო კურსებში, რომელთა მეშვეობით სტუდენტი ეუფლება რესპონდენტებთან ურთიერთობის უნარებს. (2.2) **გაზიარებულია და ასახულია პროგრამაში**
- რეკომენდებულია განახლდეს და გამრავალფეროვნდეს საკითხავი ლიტერატურა, მოხდეს სასწავლო მასალის მოცულობის ზომიერად გადანაწილება. (2.2) **გაზიარებულია და ასახულია პროგრამაში**
- რეკომენდებულია გაიზარდოს აფილირებული და მოწვეული ლექტორების რიცხვი. რაც უზრუნველყოფს როგორც სავალდებულო, ისე არჩევითი საგნების კურსების წაყვანას მაღალი ხარისხით. ასევე პროგრამის მდგრადობას. (4.1) **გაზიარებულია და ასახულია**
- რეკომენედირებულია გაიზარდოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა პროგრამის მდგრადობისა და სამაგისტრო ნაშრომების ხარისხის ამაღლების მიზნით. (4.2) **გაზიარებული და ასახულია**

**რჩევები:**

- სასურველია, მიზნების გამსხვილება და დემოკრატიული ღირებულებების ერთგულებაზე ხაზგასმა. (1.2) **გაზიარებული და ასახულია**
- რეკომენდირებულია შიდასაუნივერსიტეტო სამაგისტრო მიღების წესში გაიწეროს
- ჩასატარებელი გამოცდის ან გასაუბრების პროცედურები და შესაბამისად, შეიქმნას
- დოკუმენტი, სადაც მოცემული იქნება წერილობითი ტექსტი ან ზეპირი ინტერვიუს ჩატარებისათვის და შეფასებისთვის შესაბამისი კრიტერიუმები. (2.1) **გაზიარებულია**
- სასურველია, გაიწეროს პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის მოთხოვნები. (2.2) **გაზიარებულია და ასახულია**

- რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, რომ საგანმანათლებლო პროგრამის მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება მოხდეს განახლებული სწავლის სფეროების კლასიფიკატორის შესაბამისად, როგორც ეს განსაზღვრული იყოს ექსპერტთა საბჭოს დადგენილებაში. ექსპერტთა ჯგუფის რჩევით, პროგრამა უფრო მეტად შეესაბამება შემდეგ კვალიფიკაციას - მეცნიერებათა მაგისტრი მასკომუნიკაციაში.
- რეკომენდებულია პროგრამაში ჩარიცხვის პირობების სამაგისტრო სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა. (2.1)

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

    - სასურველია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სპეციალიზაციის სწავლების საკითხი. მიზნებსა და შედეგებში - პოლიტიკის, კულტურის და ეკონომიკის სპეციალიზაციის კუთხით. ამასთან, შესაბამისი საგნები მოვიდეს სხვა საგნებთან ლოგიკურ შესაბამისობაში, მაგალითად, გაძლიერდეს დარგობრივი მიმართულების პრაქტიკული ნაწილი, რაც გულისხმობს სტუდენტების მიერ პრაქტიკული დავალებების შესრულებას, ისტორიების, მედიაპროდუქტების შექმნას და სტუდენტური პრაქტიკის განხორციელებას შესაბამის მედიასაშუალებებში(მაგალითად, კულტურა, ეკონომიკა).
    - სასურველია დარგობრივი უპირატესობის საკითხი მკაფიოდ აისახოს მარკეტინგულ გეგმაში და ხაზი გაესვას პროგრამის უნიკალურობას.
    - სასურველია პროგრამის კურიკულუმში დაემატოს საგანი „პროფესიული ეთიკის საფუძვლები", სადაც სტუდენტები განიხილავენ პროფესიის გამოწვევებს და იმსჯელებენ სამართლიანი, გადაწყვეტილებებისა და ღირსეული პროფესიული ქცევის მაგალითებზე.
    - სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსის დამატება.
    - შეიცვალოს ტელეჟურნალისტიკის და რადიოჟურნალისტიკის კურსების სილაბუსებზე სათაურები, რადგან სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომის გამო შეუსაბამოდ არის დასათაურებული(სათაურებია შესაცვლელი).
    - ტექნიკური შეცდომის გამო, სასურველია გასწორდეს უზუსტობა კურსებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის კრედიტების მინიჭების თაობაზე.

- **საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)[5]**

- **ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე**

2026 წლის 04 მარტის No256579 განცხადებით წარმოდგენილი დასკვნის პროექტი No 318984;17/03/2026, ბრძანება No1862180; 30/12/2025) დაწესებულების პასუხი, პირველ რეკომენდაციაზე, რომ დაწესებულება მისანიჭებელ კვალიფიკაციის ფორმულირებას განხორციელებს მიმდინარე საკანონმდებლო ცვლილებების გათვალისწინებით, მისაღებია.

[5] პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის

პასუხი მეორე რეკომენდაციასთან დაკავშირებით, რომელიც შეეხება ჩარიცხვის პირობების სამაგისტრო სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანას, საჭიროებს ყურადღებას: დაწესებულებამ უნდა დააზუსტოს რას ნიშნავს სრული ზოგადი ან მისი ევივალენტური განათლება მის მიერ წარმოდგენილ შემდეგ ტექსტში:"უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის,რომლებმაც საზღვარგარეთ სრული ზოგადი ან მისი ევივალენტური განათლება მიიღეს". ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ასევე პასუხს ინგლისური ენის სასწავლო კურსის დამატებასა და ცხადად გაწერილ ენის გამოცდასთან დაკავშირებით. ექსპერტთა ჯგუფი მიზანშეწონილად მიიჩნევს ამ კონკრეტული და სხვა რჩევების გათვალისწინებასაც.

- **ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

## III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი აღწერა და შეფასება**

წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე უნდა აღინიშნოს, რომ მოცემული პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციასა და სწავლების საფეხურს. სწავლის შედეგები მიღწევადი რეალისტური და გაზომვადია. პროგრამის სწავლის შედეგები გასაგებად არის ჩამოყალიბებული. კურიკულუმის ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ სტუდენტებს აქვთ შესაძლებლობა, რომ მიაღწიონ პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება, შესაძლებელია გაზომვადი ინდიკატორებით.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, მასკომუნიკაციის პროგრამის შემუშავების ფარგლებში, პროგრამის სამუშაო ჯგუფმა განიხილა ადგილობრივ საგანმანათლებლო ბაზარზე მოქმედი ანალოგიური და მომიჯნავე პროფესიების საგანმანათლებლო პროგრამები, ასევე საერთაშორისო პროგრამები.

ინსტიტუციის მიერ წარმოდგენილია საზღვარგარეთ მოქმედი მასკომუნიკაციის საბაკალავრო პროგრამები: Texas State University, University of Hertfordshire, ST Cloud State University, Campbellsville University, ST.JOHNŚ Univeristy, University of New York in

Prague, Eastern Ilinois University,Taylor University. როგორც ინსტიტუციის წარმომადგენლები დოკუმენტში აღნიშნავენ „ქართული უნივერსიტეტებისგან განსხვავებით, რომლებიც ფართო პროფილის მქონე მასკომუნიკაციის სპეციალისტების მომზადებაზეა ორიენტირებული, უცხოურ უნივერსიტეტებში უმეტესად მასკომუნიკაციას აქვს კონკრეტული დისციპლინური მიმართულებები, მაგ: მასკომუნიკაცია ბიზნესში, მასკომუნიკაცია რეკლამაში, მასკომუნიკაცია ბრენდინგში, მასკომუნიკაცია საზოგადოებასთან ურთიერთობაში, მასკომუნიკაცია ხელოვნებაში.

წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განსაზღვრა დადარების დოკუმენტში მოყვანილი პროგრამებისა და წარმოდგენილ პროგრამაში თანხვედრა პროგრამის სტრუქტურის, მიზნების, მისაღწევ შედეგების - სტუდენეტების დარგობრივი და ზოგადი კომპეტენციების, ტრანსფერულ უნარების გამომუშავების, დასაქმების ბაზრის მიმართებით.

პროგრამებში დიდი ყურადღება ენიჭება კომუნიკაციის და მედიის ბუნების შესწავლას, საკომუნიკაციო სტრატეგიის შექმნას, საკომუნიკაციო არხების/ფორმების შერჩევას და მათ ანალიზს“, რაც ასევე თანხვედრაშია განსახილველ პროგრამასთან.

პროგრამას ახლავს გარე ქართველი ექსპერტის დასკვნა, რომელიც აღნიშნავს: „საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტ ჯიუ-ს სამაგისტრო პროგრამა „მასობრივი კომუნიკაცია“ აქტუალურია, მისი ყველა კომპონენტი გააზრებულია და პირდაპირ პასუხობს პროგრამის მიზანს, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგია მრავალფეროვანია, პროგრამა უზრუნველყოფილია რესურსებით და გააჩნია საინტერესო პერსპექტივები”.

სასწავლო პროგრამა სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტის, სექტორული ჟურნალისტისა და მედიის მკვლევრის პროფესიული კომპეტენციებით ამზადებს სტუდენტს. ამ პროგრამის კურსდამთავრებულების შეძლებენ იმუშაონ სტრატეგიული კომუნიკაციის სპეციალისტებად, რომლებსაც შეუძლიათ პოლიტიკური კომუნიკაციის, საზოგადოებასთან ურთიერთობისა და სარეკლამო კამპანიების, მათ შორის თანამედროვე არჩევნებისა და ადვოკატირების სტრატეგიების შემუშავება, განხორციელება და შეფასება; მათ შეეძლებათ იმუშაონ სექტორულ ჟურნალისტებად ეკონომიკის, პოლიტიკისა და კულტურის სფეროში,

გაანალიზონ მედიაპროდუქტი და შექმნან ანალიტიკური მედიაპროდუქტი რომელსაც სხვადასხვა მედიაპლატფორმებზე განათავსებენ.
სტუდენტებს შეეძლებათ ჩაატარონ დამოუკიდებელი მედია კვლევა, გამოიყენონ თვისებრივი და რაოდენობრივი მეთოდები მედია სისტემების, შინაარსის, აუდიტორიისა და კომუნიკაციის პროცესების კრიტიკული ანალიზისთვის; ასევე ჩაატარონ მედიის ნარატივების შეფასება, რომელიც დაფუძნებულია აკადემიურ თეორიასა და პროფესიულ სტანდარტებზე. ეს კვალიფიკაცია უნიკალურია საქართველოს უმაღლესი განათლების კონტექსტში, რადგან ის: ფორმალურად ამზადებს სექტორულ ჟურნალისტებს, სპეციალიზაციას, რომელსაც არ გვთავაზობენ საქართველოს სხვა სამაგისტრო პროგრამები; ეს კვალიფიკაცია აერთიანებს ჟურნალისტიკის პრაქტიკას, სტრატეგიულ კომუნიკაციას და მედია კვლევას ერთიან, თანმიმდევრულ კვალიფიკაციაში ამზადებს კურსდამთავრებულებს მედია ორგანიზაციებისთვის, საჯარო დაწესებულებებისთვის, არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, პოლიტიკური აქტორებისთვის, კვლევითი ინსტიტუტებისა და შემოქმედებითი ინდუსტრიებისთვის შესაბამისი ტრანსფერული უნარებით.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- საგანმანათლებლო პროგრამა მასობრივი კომუნიკაცია.
- სასწავლო და კვლევითი კომპონენტების სილაბუსები;
- გარე ექსპერტის შეფასება;
- მედიის შრომის ბაზრის კვლევა;
- შპს საქართველოს საერთაშორისო უნივერსტეტი ჯიუ ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის დოკუმენტი;
- „მასობრივი კომუნიკაციის“ საგანმანათლებლო პროგრამა ანალიზის დოკუმენტი (ბენჩმარკინგი)

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.1 პროგრამის მიზნები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

როგორც დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, წარმოდგენილი პროგრამა ხუთი მიზნის მიღწევას რვა შედეგზე გასვლით გეგმავს.

პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება მისანიჭებელ კვალიფიკაციას და სწავლების საფეხურს; არის მიღწევადი, რეალისტური და გაზომვადი (რისთვისაც შემუშავებულია შეფასების მეთოდები და ინსტრუმენტები), რომლის ჩამოყალიბებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე. სწავლის შედეგებში ასახულია შრომის ბაზრისა და პოტენციური დამსაქმებლების მოთხოვნები, ასევე, ასახულია მასობრივი კომუნიკაციის პროგრამის სწავლა-სწავლებისა და კვლევების საუკეთესო პრაქტიკა. საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება არსებული სწავლის შედეგების რუკა. პროგრამის სწავლის შედეგების

რუკა ლოგიკურია.პროგრამის სწავლის შედეგების გაზომვა ხდება მონაცემთა განსაზღვრის, შეგროვებისა და ანალიზის გზით. პროგრამაზე მომუშავე გუნდმა შეიმუშავა პროგრამის სწავლის შედეგებისა და მიზნების შესაბამისობის ცხრილი, სადაც ნათლად იკვეთება სწავლის შედეგის კავშირი პროგრამის მიზნებთან. სწავლის შედეგები კონკრეტულად არის ჩამოყალიბებული და გაზომვადია. პროგრამის დასრულებისას კურსდამთავრებულს ექნება დარგობრივი უპირატესობა, რადგან ის განსაკუთრებული ფოკუსით შეისწავლის პოლიტიკას, ეკონომიკასა და კულტურას, რაც უზრუნველყოფილი იქნება ისეთი პრაქტიკული კურსებით როგორიცაა შეფ-რედაქტორი, ჟურნალის წარმოება და პრაქტიკული ტელეჟურნალისტიკა და პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკა. თუმცა პროგრამა არ ითვალისიწნებს სამუშაო პრაქტიკას შესაბამისის სპეციალობის მიმართულების მედიასაშუალებებში, ამასთან, სასურველი იქნებოდა, რომ თავად სპეციალიზაციის კურსებშიც უფრო გამახვილებულიყო ყურადღება პრაქტიკულ კომპონენტზე- რაც გულისხმობს პრაქტიკული მედიამასალის/ მედიაპროდუქტის შექმნას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დარგობრივი სპეციალიზაციის სწავლების საკითხი. მიზნებსა და შედეგებში - პოლიტიკის, კულტურის და ეკონომიკის სპეციალიზაციის კუთხით. ამასთან, შესაბამისი საგნები მოვიდეს სხვა საგნებთან ლოგიკურ შესაბამისობაში. მაგალითად: პრაქტიკა განხორციელდეს შესაბამის მედიასაშუალებებში. სასურველია დაკონკრეტდეს რა ნიშნით შეირჩევა მედიაორგანიზაციები, სადაც სტუდენტები იქნებიან მივლინებული პრაქტიკის გასავლელად.
- სასურველია დარგობრივი უპირატესობის საკითხი მკაფიოდ აისახოს მარკეტინგულ გეგმაში და ხაზი გაესვას პროგრამის უნიკალურობას.

შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა უნივერსიტეტის წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

დოკუმენტში აღწერილია სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდები. გათვალისწინებულია შრომის ბაზრის მოთხოვნების/ტენდენციების ასახვა პროგრამის სწავლის შედეგებში.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასებისას გამოიყენება საბოლოო გამოცდების შედეგები, შემუშავებულია სტუდენტთა რანჟირების სკალა,: ყველაზე მაღალქულიანი რაოდენობა 10%–ს არ აღემატება, შემდეგ კი საფეხურებად 25%–30%–25%–10%. რანჟირების სკალის მიხედვით, სტუდენტთა ძირითად კონტიგენტს სწავლის შედეგების მიღწევის საშუალო მაჩვენებელი აქვს, ძალიან მაღალი და დაბალი კი – სტუდენტთა შესაბამისად, 10–10%–ს.

დოკუმენტში ნათლად არის განსაზღვრული სამიზნე ნიშნულები. შეფასების სისტემა ითვალისწინებს დონეებს.

დოკუმენტებში ჩანს ჩატარებული სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი დასახულ სამიზნე ნიშნულებთან დაკავშირებით, რაც ადასტურებს დაწესებულების სწავლის შედეგების შეფასების მონიტორინგის სისტემის საფუძველს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობა;
- პროგრამის სილაბუსები;
- „მასობრივი კომუნიკაციის“ საგანმანათლებლო პროგრამა ანალიზის დოკუმენტი (ბენჩმარკინგი)
- საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მეთოდოლოგია.

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

### 1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და

შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი მასალის შესწავლის ანალიზით იკვეთება, რომ პროგრამა შემუშავებულია უნივერსიტეტის მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. შემუშავებული პროგრამის სტრუქტურა მოიცავს მნიშვნელოვან ასპექტებს და არის ინფორმაციული. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება პროგრამის 2024 წლის დარგობრივ მახასიათებელსა და უმაღლესი განათლების კვალიფიკაციათა ჩარჩოს VII დონის მოთხოვნებს და და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

პროგრამა აგებულია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ECTS - კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის შესაბამისად. პროგრამის ხანგრძლივობა არის ორი წელიწადი და მოიცავს 120 ECTS, რომელშიც 78 კრედიტი განკუთვნილია სავალდებულო სასწავლო კურსებისთვის და 42 კრედიტი არჩევითი კომპონენტისთვის. პროგრამა აგებულია რაციონალურად - მისი სტრუქტურა თანმიმდევრულია და კურსები დალაგებულია ლოგიკური პრინციპით. სასწავლო კურსების შინაარსი თანდათანობით რთულდება და ვითარდება, ხოლო შემდგომ კომპონენტებზე დაშვების წინაპირობები შეესაბამება პროგრამის მიზნებს.

აღწერილობით ჩანს, რომ პროგრამა ინტერნაციონალიზაციის მიზნით ითვალისწინებს ინგლისურ ენაზე კლასების შეთავაზებას. მაგალითად: “New Media and Society”, “Climate Change and Mental Health”, “Applied Aspects of Psycholinguistics”).

გადასაზღვევია რისკები, თუ როგორ უზრუნველყოფს და ადასტურებს პროგრამა, რომ სტუდენტები შეძლებენ დაძლიონ ეს კურსი, მაშინ როცა ის ითვალისწინებს ძალიან ინტენსიურ საკითხავ მასალას ინგლისურ ენაზე.

სასურველია, ინტერნაციონალიზაციის სხვა შესაძლებლობების გათვალისწინებაც: მაგალითად უცხოელი სპიკერების მოწვევა, საერთაშორისო გაცვლით და ქვეყანათაშორის პროექტებში მონაწილეობა, როგორც ონლაინ, ისე დასწრებულად მეტი ხარისხით.

ექსპერტთა ჯგუფმა შეამჩნია შეუსაბამობა(ერთსა და იგივე დოკუმენტში განსხვავებული ციფრებით განისაზღვრება მინიჭებული სავალდებულო და არჩევითი საგნების კრედიტები) კურსებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში(1

საქაღალდე, თვითშეფასების ანგარიში და რუკები მას კომუნიკაციაში. ჩაითვალა, რომ ადგილი ჰქონდა ტექნიკურ შეცდომას. ექსპერტთა ჯგუფმა იხელმძღვანელა ექსელის ფაილში მოცემული გათვლებით. 78 სავალდებულო, 42 არჩევითი. ექსპერტთა ჯგუფის აზრით უსდ- მ უნდა გაასწოროს ეს უზუსტობა.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამება და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია გასწორდეს უზუსტობა კურსებზე წარმოდგენილ დოკუმენტაციაში სავალდებულო და არჩევითი საგნებისთვის კრედიტების მინიჭების თაობაზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.4 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## 1.5 სასწავლო კურსი/საგანი

➢ სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

---

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

როგორც წარმოდგენილი მასალის შესწავლა აჩვენებს, სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები - 42 კრედიტი სამაგისტრო პროგრამის ”მასობრივი კომუნიკაცია” სპეციალობის არჩევითი სასწავლო კურსები მიზნად ისახავს ძირითადი სპეციალობის გაღრმავებას და ერუდიციის გაფართოებას, კერძოდ: - კონკრეტული მედიაპროდუქტის პრაქტიკულად მომზადებას პოლიტიკის, ეკონომიკის და კულტურის აქტუალურ თემატიკაზე („ჟურნალის მომზადება“, „პრაქტიკული ტელეჟურნალისტიკა“, „პრაქტიკული რადიოჟურნალისტიკა“, „შეფ-რედაქტორი“); - კვლევითი კომპონენტის გაღრმავებას („მედიის კრიტიკული ანალიზი“); - აგრეთვე, მასობრივ კომუნიკაციასთან მომიჯნავე ან განსხვავებული დარგების დისციპლინათა შესწავლას, მათ შორის ინგლისურენოვანს („ქართული პუბლიცისტიკის ისტორიული პარადიგმები“, “ფილოსოფიური ანთროპოლოგია”. “სოციალური ფსიქოლოგი”, “სოციალური ფსიქოლოგია”, “New Media and Society”.

წარმოდგენილი პროგრამის მიხედვით, მოცემული სამი მიმართულება- პოლიტიკა, ეკონომიკა და კულტურა-ამზადებს დარგობრივი სპეციალიზაციის სტუდენტს. პროგრამით გათვალისწინებული არჩევითი კურსები აღრმავებს ერუდიციას(„ქართული პუბლიცისტიკის ისტორიული პარადიგმები“, “ფილოსოფიური ანთროპოლოგია”. “სოციალური ფსიქოლოგი”, “სოციალური ფსიქოლოგია”).

შეიცვალოს ტელეჟურნალისტიკის და რადოჟურნალისტიკის კურსების სილაბუსებზე სათაურები, რადგან სავარაუდოდ, ტექნიკური შეცდომის გამო შეუსაბამოდ არის დასათაურებული(სათაურებია შესაცვლელი).

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამება და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;

**რეკომენდაციები:**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 1.5 სასწავლო კურსი/საგანი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

**პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა**

| | | |
|---|---|---|
| 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☒ |
| | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ☐ |
| | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან | ☐ |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება

ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

## 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

წარმოდგენილი დოკუმენტებით იკვეთება, რომ პროგრამაში მოცემულია სტუდენტების მისაღები შემდეგი პროცედურები:

ჩარიცხვა იწარმოებს ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, „მასობრივი კომუნიკაციის“ სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე.

სწავლის უფლება აქვს ბაკალავრის, ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს ერთიანი ეროვნული სამაგისტრო გამოცდების საფუძველზე, ან საერთო სამაგისტრო გამოცდების გავლის გარეშე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად.

სამაგისტრო პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობაა:

- შიდა საუნივერსიტეტო გამოცდა სპეციალობაში;
- უცხო ენის შესაბამის დონეზე (B2) ცოდნის დადასტურება სერტიფიკატით ან გამოცდით.

ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გავლის გარეშე შესაძლებელი იქნება:

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირებისათვის, რომლებმაც საზღვარგარეთ სრული ზოგადი ან მისი ეკვივალენტური განათლება მიიღეს.

- საქართველოს მოქალაქეებისთვის, რომლებმაც საზღვარგარეთ სრულად მიიღო ზოგადი განათლება და ბოლო 2 წელი ისწავლეს უცხოეთში.

- უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის, რომლებმაც აკრედიტაცია/კვალიფიკაცია მიიღეს უკანონოდ აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

- საქართველოს მოქალაქეებისთვის (ერთობლივი და გაცვლითი პროგრამების მონაწილეები exclusions), რომლებიც საზღვარგარეთ ცხოვრობენ და დამატებით აკრედიტაციას/კვალიფიკაციას იღებენ აღიარებულ უმაღლეს სკოლაში.

ამას გარდა დაშვებულია სტუდენტების ჩარიცხვა გარე და შიდა მობილობით.

ინტერნაციონალიზაციის ერთად-ერთი ფორმა ინგლისურ ენაზე კურსის სწავლებაა. მართალია შერჩევისას გათვალისწინებულია, რომ სტუდენტი უნდა ფლობდეს უცხო ენას, და ამას გამოცდით შეამოწმებენ ან მოითხოვენ შესაფერის დამადასტურებელ სერტიფიკატს, მაგრამ არ არის გაწერილი გამოცდის ან გასაუბრების პროცედურები.

ასევე, სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსის დამატება.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით
- საგანმანათლებლო პროგრამა და სილაბუსები;
- თვითშეფასების ანგარიში;

#### რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რეკომენდებულია პროგრამაში ჩარიცხვის პირობების სამაგისტრო სწავლების საფეხურთან შესაბამისობაში მოყვანა.

#### რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

სასურველია, ინგლისური ენის შემსწავლელი სასწავლო კურსის დამატება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

| კომპონენტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| 2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

პროგრამის და მასზე თანდართული დოკუმენტაციის შესწავლა აჩვენებს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, რომელთა შესწავლისას პროგრამაზე ჩარიცხულ პირს უნდა განუვითარდეს პრაქტიკული, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარები. საგანმანათლებლო პროგრამაში გათვალისწინებულია პრაქტიკული კომპონენტი, რომელიც სავალდებულოა. კერძოდ, პრაქტიკა მოიცავს 12 კრედიტს პრაქტიკა ორიენტირებულია მიღებული თეორიული ცოდნის საფუძველზე სტუდენტს შეასწავლოს შემოქმედებითი, თავისუფალი აზროვნების და გამოხატვის ფორმებისა და მეთოდების პრაქტიკულად გამოყენება მასობრივი კომუნიკაციის სფეროში და დარგობრივ ჟურნალისტიკაში - გაზეთში/ჟურნალში, რადიოში, ტელევიზიაში, საინფორმაციო სააგენტოში.

სტუდენტს უვითარდება შემოქმედებითი და პრაქტიკული უნარები. ასევე, პრაქტიკის პერიოდში სტუდენტი ამუშავებს სადიპლომო ნაშრომის თემასთან დაკავშირებულ ემპირიულ მასალას. ობიექტზე პრაქტიკის დასრულების შემდეგ წარუდგენს ჟურნალისტიკის კათედრას პრაქტიკის დღიურსა და ანგარიშს.

ასევე მნიშვნელოვანია კურსი კვლევის მეთოდები სოციალურ მეცნიერებებში, რომლიც ახდენს თანამედროვე კვლევის მეთოდების გამოყენებით მასობრივი კომუნიკაციის სფეროში მონაცემების მოძიებას, კლასიფიცირებას, ანალიზს და ლოგიკური დასკვნებისა და რეკომენდაციების ჩამოყალიბებას; შეიმუშავებს კვლევითი თემის/პროექტის, გეგმას, შესრულების შესაფერის მეთოდებსა და ხერხებს, კვლევის დიზაინს კონკრეტული დასკვნების გამოსატანად; აანალიზებს მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევის თეზისს, მიზანს, მეთოდოლოგიას, შედეგებს თანამედროვე პრაქტიკულ საქმიანობაში გამოყენების ხარისხს; შეიმუშავებს მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევის ჰიპოთეზას, მიზნობრივ ჯგუფს, კითხვარს, რელევანტურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, ანგარიშის დიზაინს.

სამაგისტრო ნაშრომის მომზადებით კი სტუდენტს უყალიბდება პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / უნარები. სამაგისტრო ნაშრომის მიზანია, მაგისტრანტმა გამოავლინოს მასობრივი კომუნიკაციის სფეროში კვლევის დამოუკიდებლად განხორციელების, კომპლექსური პრობლემების გადაწყვეტის ახალი, ორიგინალური გზების ძიების უნარი; წარმოადგინოს სამეცნიერო კვლევის დასაბუთებული შედეგები კვლევის უახლესი მეთოდების გამოყენებითა და აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით.

დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები ხუთ მედიაორგანიზაციასთან. მათგან ოთხ მემორანდუმში მითითებულია პრაქტიკის ობიექტის მიერ სტუდენტთა მიღების რაოდენობა. ყველა ცალკეული შემთხვევა მიმართვის ფორმის სახით ასახავს კონკრეტული მივლინებული სტუდენტთა ვინაობასა და რაოდენობას.

მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტმა დაარეგულიროს/გააკონტროლოს დანიშნული პრაქტიკის ხელმძღვანელის შერჩევის წინაპირობა/დაადგინოს კრიტერიუმები.

მართალია, დაწესებულებამ გაიზიარა რეკომენდაცია ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ეთიკური საკითხების შესახებ. თუმცა, სამწუხაროდ, არ გაიზიარა რეკომენდაცია ეთიკის კურსის ცალკე ან საკითხების კურსებში დამატების შესახებ. ექსპერტთა ჯგუფი იმედოვნებს, რომ ამ კურსის/საკითხების დამატებას შეძლებს ინსტიტუცია მას შემდეგ, რაც მიიღებს ახალ კადრებს, რომელთა მიღებაც ამჟამად აქვს გამოცხადებული:

ექსპერტთა ჯგუფი სასურველად მიიჩნევს რომ გაძლიერდეს პრაქტიკული კომპონენტი დარგობრივი მიმართულებით, რადგან სილაბუსების აღწერილობის

მიხედვით ის საგნები, სადაც თითქოს სტუდენტი უნდა ეუფლებოდეს რესპონდენტებთან ურთიერთობის უნარებს, მაგალითად დარგობრივი ეკონომიკა მედიაში, ან კულტურა მედიაში, ეს საგნებიც- უფრო თეორიულია.

